ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1141836

ნომერი: AR1198599

თარიღი : 19.02.2014

გაცემის თარიღი : 26.02.2014

გაცნობის თარიღი : 26.02.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კალოუბანი , N 40 , (ნაკვ. 21/023) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მიხეილ მახათაძე პ/ნ 01026007757
- აკაკი შანიძის ქ. #25

ორგანიზაცია:
- სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი კოდი: 202 352 514

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-

17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა 19.02.2014 წლის AR1198599 განცხადება, რომლითაც ითხოვთ შესაბამისი ქალაქგეგმარებითი დასკვნის გაცემას, თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.19.20.021.047) გამიჯვნის შემთხვევაში, შემდგომში მისი ეტაპობრივად განაშენიანების შესაძლებლობაზე. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

გამომდინარე იქედან, რომ მოცემული ტერიტორია (ყოფილი რადიოქარხანა) წარმოადგენს სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს, ხოლო ტერიტორიაზე გსურთ, ეტაპობრივად განათავსოთ შენობა–ნაგებობები, ანუ ააშენოთ საცხოვრებელი კომპლექსი, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, საჭიროა აღნიშნული მიწის ნაკვეთისთვის დამუშავდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი. ამისათვის თავდაპირველად განაცხადი უნდა შეავსოთ ჩვენი სამსახურის ვებ.გვერდზე, კერძოდ: http://tas.ge/–ზე შესაბამის ნომენკლატურაში (განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალება).

აღნიშნულის განხორციელების შემთხვევაში, საშუალება გექნებათ მშენებლობა განახორციელოთ ეტაპობრვად. აქედან გამომდინარე, თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის გამიჯვნა ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, მიზანშეწონილი არარის.

განაშენიანების რეგულირების გეგმა წარმოადგენს – „ქალაქთმშენებლობით დოკუმენტს, რომელიც დასახლებათა ტერიტორიებისთვის ადგენს მიწათსარგებლობის ზონებს (ქვეზონებს) ან და აზუსტებს ცალკეული გეგმარებითი ერთეულების, განაშენიანების არქიტექტურულ-გეგმარებით და სივრცით-მოცულობით მახასიათებლებს, შენობების განთავსებას, მათ გეგმარებით პარამეტრებს; აზუსტებს უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების ქალაქთმშენებლობით მახასიათებლებს, რელიეფის ორგანიზებას, ტერიტორიების კეთილმოწყობასა და გამწვანებას, საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფას“ (ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილება).

გაურკვევლობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაუკავშირდეთ სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზს ტ. #2 37 83 46.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.